პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 218 (19360) ◆ შაბათი, 21 სექტემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ვიმუშაოთ დამკვრელურად, სტახანოვურად

შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სტახანოვური მოძრაობის ვეტერანებთან, წარმოების მოწინავეებთან და ნოვატორებთან

სახელოვან ფურცლად შევიდა საბჭოთა მატიანეში სტახანოვური მოძრაობა. იგი ნათლად განასახიერებს სოციალიზმის უდიდეს აღმშენებლობითს შესაძლებლობებს, მუშათა კლასის რევოლუციურ, ნოვატორულ სულისკვეთებას, რომელიც, დღეუფლო რა ამ დროისათვის მოწინავე ტექნიკას, ერთბაშად დაწინაურდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელ ფრონტზე. ალექსეი სტახანოვის ისტორიული რეკორდის შემდეგ გასულმა ნახევარმა საუკუნემ დადასტურა მათ მიერ დაწყებული პატრიოტული მოძრაობის წარუვალი მნიშვნელობა.

პირველი ხუთწლედების გმირთა ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობენ მათი მემკვიდრენი — წარმოების მოწინავენი და ნოვატორები სოციალისტური ეკონომიკის ყველა სფეროში, რომლებიც ისწრაფვიან პარტიის მოწოდების პასუხად მიაღწიონ ასეთსავე მასობრივ შრომითს წინსვლას სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების სფეროში — ოღონდ გაცილებით მეტი მასშტაბით.

20 სექტემბერს სტახანოვური მოძრაობის ვეტერანთა, საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეთა დიდი ჯგუფი მიიწვიეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში. აქ მათ შეხვდნენ ამხანაგები **მ. ს. გორბაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ვ. ი. დოლგიხი, ბ. ნ. პონომარიოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, მ. ვ. ზიმინინი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. პ. ნიკონოვი, კ. ვ. რუსაკოვი.**

თბილი, გულითადი და საქმიანი იყო ეს შეხვედრა. დარბაზში მყოფ ბევრ სახელმოხვეჭილ ადამიანს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი პირადად იცნობს, ყოფილა მათს შრომელ კოლექტივებში. ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა პარტიის ხელმძღვანელთა გულახდილი სჯა-ბაასი კომუნისტებ მუშებთან, შრომელ ადამიანებთან, აქ შეიკრიბნენ თანამოაზრენი და ყველას ჰქონდა ერთი საზრუნავი — როგორ წარმართონ საქმე უფრო ეფექტურად, უფრო უკეთ, რათა განუხრელად მტკიცდებოდეს ჩვენი დიადი ქვეყნის ეკონომიკა, მიუდგომელი ყოს მისი თავდასაცავი ფარი, უფრო მდიდარი გახდეს საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი კეთილეგა.

შეხვედრის გახსნისას ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი გულითადად მიესალმა საბჭოთა მუშათა კლასის ვეტერანებსა და მათი შრომითი დიდების მემკვიდრეებს სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის გამო. მან მხურვალედ მიფერა წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებსაც სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად გაჩაღებულ ბრძოლაში შეტანილი დიდი პირადი წვლილისათვის სოციალისტური შრომის გმირისა და ორგზის გმირის სპატიო წოდება მიენიჭათ.

მ. ს. გორბაჩოვმა შეკრებილთა წინაშე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც დიდი ყურადღებით მოისმინეს და ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ვოროშილოვგრადის ოლქის „სტახანოვშახტმშენის“ ტრესტის უფროსი ინსპექტორი, წინათ—სკკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი „ირმინოს ცენტრალურ“ შახტში, სადაც სტახანოვური მოძრაობა იშვა, — სოციალისტური შრომის გმირი **კ. ვ. პეტროვი,** კალინინის ოლქის ვიშნი ვოლოჩეკის ბამბეულის კომბინატის უფროსი ინჟინერი, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ი. გაგანოვი,** „ხელნოგრადშემის“ სწარმოო გაერთიანების კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ნ. ა. ზლობინი,** შრომის ვეტერანი, პირმის ოლქის № 2 „კაპიტალური“ შახტის ყოფილი მბურღველი **ბ. კ. პიდჟარიკი,** „ელექტროსტალის“ ქიმიკოსი **ნ. ი. ბალცევი,** ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ვ. ფ. ია-რიგინი,** კუსტანაის ოლქის ბოროვსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „ხარკოვსკის“ მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი **ბ. ბ. დონენბაევი,** მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის ბრიგადის მეაირე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი **ვ. დ. ნაუმენი,** „ნოვოვორონეჟსანეთობგაზნის“ გაერთიანების ნოვენეარტოვსკის № 2 საბურღ სამუშაოთა სამმართველოს ბურღვის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი **ა. დ. შაკშინი,** ჩკალოსნული დნობის მოწყობის ერთ-ერთი ინიციატორი, ამჟამად საკავშირო საწარმოო გაერთიანება „საამტალურგმრეწვის“ მთავარი ფოლადმდნობელი, სოციალისტური შრომის გმირი **მ. ვ. პრიგალოვი,** მშენებლობაში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი, ამჟამად სსრ კავშირის სახმშენის სამშენებლო შრომის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი სპრეკეტო ინსტიტუტის მთავარი ტექნოლოგი **თ. ი. მალცევი,** შრომის ვეტერანი, ჩერკასის ოლქის კომინტერნის სახელობის ყოლმეურნეობის ყოფილი მერგოლური, ბაქრის ჭარბლის უხვი მოსავლის მიღებისათვის გაჩაღებული მოძრაობის ინიციატორი **მ. ს. დემჩენკო.** (საკდესი).

სურათზე: შეხვედრის დროს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

შრომითი გმირობის უჭკნობი ტრადიციები მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით გულითადად მოგესალმოთ თქვენ — ვეტერან-სტახანოველებს, იმ მოძრაობის სათავეებთან რომ იდგნენ, რომელმაც განასახიერა მუშაკაცის სიმამაცე, ღირსება და თავდადება, თქვენ, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, ღირსეულად რომ განაგრძობთ შრომითი გმირობის უჭკნობ ტრადიციებს.

ჩვენს შეხვედრას კარგი საბაბი აქვს. ნახევარი საუკუნე გავიდა იმ დღიდან, როცა შრომითი შემართების სტახანოვურმა ნაპრწყლვამ აანთო შრომელთა მრავალმილიონიანი მოძრაობა. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ არა მარტო გავიხსენებთ იმ წლების ამაღელვებელ მოვლენებს, არამედ ერთმანეთს რჩევასაც დავეკითხებით, თუ უკეთ როგორ გამოვიყენოთ სოციალისტური შეჯიბრების დამრაზმველი შესაძლებლობანი დღევანდელი გადაფიქრებული ამოცანების გადასაწყვეტად.

დიდი და წარუვალია სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა. მასში მკაფიოდ გამოვლინდა აღმშენებლობითი საწყისი, რომელიც ვ. ი. ლენინმა უკვე პირველი კომუნისტური შაბათობების გამოცდილებაში განჭვრიტა: „...იგი გვიჩვენებს მუშების შეგნებულ და ნებაყოფლობით თაოსნობას შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ახალ შრომითს დისციპლინაზე გადასვლაში, ეკონომიკურ ბიზნესში ჩაბმაცე, ღირსეულ ცხოვრების სოციალისტური პირობების შემოქმედებაში“.

ხედავთ, ამხანაგებო, რაოდენ ღრმა და მასშტაბური განსაზღვრებაა, და რაოდენ ეხმიანება იგი ჩვენი გარდატეხის დროის ამოცანებს.

სტახანოვური მოძრაობა დაუვიწყარ ფურცლად ჩაბარდა ჩვენ ისტორიას. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო, მარილაკ რომ, დროის გასწრებით, ჩქარი ტემპით აბორიკელობდა ინდუსტრიალიზაციას. სწორედ უნდა გაგვიზარდა შრომის ეფექტიანობა, გამოგვეანა მისი ორგანიზაციის ახალი ფორმები, მთლიანად გამოგვიყენებინა ტექნიკური რეკონსტრუქციით, წარმოების მატერიალური ბაზის განახლებით შექმნილი შესაძლებლობანი.

სტახანოვურმა მოძრაობამ ასახა შრომისადმი ის ახალი დამოკიდებულება, რომელსაც მაქსიმ გორკიმ მასობრივი ენერგიის ცეცხლოვანი აფეთქება უწოდა. მძლავრად გაიშალა ახალგაზრდა ქვეყნის, მისი მუშათა კლასისა და გლეხობის აღმშენებლობითი ძალები. გაიშალა, რა თქმა უნდა, არა ერთბაშად. იგი მომზადდა ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების მთელი მიმდინარეობით, პარტიის მიზან-მიმართული მუშაობით.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დღესაც აღფრთოვანებთან და სიამაყით ვახსენებთ სტახანოვური მოძრაობის წამომწყებთა სახელებს, რამდენიც სახელია, იმდენიც პიროვნებაა — მკაფიო, ნიჭიერი, თავისთავადი. და ისინი ყველანი გამოსული არიან ხალხს წიაღიდან — შახტის მგზგრველები ალექსი სტახანოვი და ნიკიტა იზოტოვი, მჭიდელი ალექსანდრე ბუსიგინი, შახტის პარტორგი კონსტანტინ პეტროვი, მეფოლადე მაკარ მაზაი, მღარავი ივანე გუდოვი, ორთქლმავლის მემანქანე პეტრე კრეოფნოსი, ფეხსაცმლის მემომუშავეი ნიკოლოზ სმეტანინი, მჭსოველები ევდოკია და მარიამ ვინოგრადოვები, კომბაინერი კონსტანტინე ბორინი, ტრაქტორისტები პაშა ანგელინა და პრასკოვია კოვარდაკი, მეპარხლეები მარიამ დემჩენკო და მარინე განტენკო და მრავალი, მრავალი სხვა.

„სტახანოვი“, „სტახანოვურად“ — ეს არის ინიციატივის სიმბოლო, ყოველივე მოწინავისათვის, მოძველებულის, ყველასულის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო. სტახანოვური მოძრაობა არა მარტო სოციალური, არამედ ზნეობრივი მოვლენაცაა, რომელმაც წარმოაჩინა ახალი საზოგადოების ადამიანის სულიერი სილამაზე. ამ მოძრაობის პიონერები ქვეყნის ნამდვილი გმირები გახდნენ. მათ უსწორებენენ მზარს, მთგან სწავლობდნენ, როგორ იცხოვრათ, მათ მიჰყვებოდნენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, ახალგაზრდობა.

ამას მარტო იმიტომ რიდი ვამბობ, რომ ვალი მოვიხადო ისტორიის წინაშე. რაკი უყურებ ამ დარბაზში მსხდომ ვეტერან-სტახანოველებსა და ჩვენი დღიების შრომის მოწინავეებს, ფიქრობ დროთა ორგანულ კავშირზე, სოციალისტური ტრადიციების ესტაფეტაზე. განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე გამოიცვალა ტექნიკაც, გამოიცვალნენ ადამიანებიც. მაგრამ სტახანოვური მოძრაობის ტრადიციები წარსულს რიდი ჩაბარდა. ჩვენს დროს განსაკუთრებით შეიფერება პირველქმედი ნოვატორი სტახანოველების დაუდგრომელი სულიერებაში ფესვებ ფესვებ — ტექნიკისადმ მიეღოთ მაქსიმალურად ყველგასული ნორმები, კაცმა რომ თქვას, ფსიქოლოგიური ჩვენების მსხვრევაში.

დღეს პარტია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, ყველფაფრნი დისციპლინის და წესრიგის განუხრელი განმტკიცების გზს დაადგა. ეკონომიკას ამეტი დინამიზმი უნდა მივანიჭოთ, ადგილეულად იგი ინტენსიფიკაციის რელსებზე, უზრუნველყოთ წარმოების ეფექტიანობის ყოველმხრივი ზრდა. ეს კიბის სრულად ითვალსწინებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამოხატავს შრომელთა მისწრაფებებსა და განწყობილებას.

(დასასრული მე-2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა მ. კოვალიოვს

19 სექტემბერს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს მ. კოვალიოვს, რომელიც სამეგობრო ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბერსპექტივები.

მეგობრული საუბრის დროს განიხილეს საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები, აგრეთვე მეფილი რიგი მომზადებული საერთაშორისო პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას ისახავს მიზნად ორივე სახელმწიფოს მეცდინეობა.

ორივე მხარემ დაადასტურა, რომ აპირებენ კეთილად ადგნ საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობა გრძელვადიან, პრინციპულ ფუძტორებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ყოველგვარ საერთაშორისო პირობებში მეგობრობისა და ნდობის უცვლელ გეზს. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების 1948 წლის ხელშეკრულების გარდაუვალი მნიშვნელობა, რომლის მოქმედების ვადის გაგრძელებამ XXI საუკუნის დამდეგამდე დაადასტურა ყველა მისი პრინციპისა და დებულების ცხოველმყოფელობა და შექმნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის კეთილმეზობლობის პერსპექტივების გარანტია.

მ. ს. გორბაჩოვმა და მ. კოვალიოვმ გამოთქვეს აზრი, რომ ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის განმტკიცების საქმის ინტერესებს შეესაბამება პოლიტიკური თანამშრომლობა, ოფიციალური ეკონომიკური, კულტურული და სხვა დარგებში თანასწორუფლებიანი ურთიერთობის, საერთაშორისო ასპარეზზე ნაყოფიერი ურთიერთმოქმედების შემდგომი გაღრმავება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე მხარე საბჭოთა და ფინეთი ხალხების საკეთილდღეოდ ერთობლივი მეცადინეობით სათუთად უნდა უფრთხილდეს მეგობრობასა და ურთიერთნდობას, რაც საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის განმსაზღვრელი ნიშანთვისება გახდა.

საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაზიარების დროს მხარეებმა დაადასტურეს, რომ ენერგიულად უნდა იღვაწონ ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის, გამაღლებულ შეიარაღების, განსაკუთრებით გამაღლებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვისათვის, კოსმოსის მილიტარიზაციის თავიდან აცილებისათვის, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ყველა სახელმწიფოს მშვიდობიანი თანამშრომლობის მოგვარებას, დაძაბულობის შენელებისა და ურთიერთნდობის კლიმატში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის დაბრუნებას.

პრეზიდენტმა მ. კოვალიტომ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა კავშირის ახალ საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივებს, რომელმაც ცალმხრივი წესით შემოიღო ბირთვული იარაღის ყოველგვარი გამოცდის მორატორიუმი, მოუწოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს მიბაძოს მა მაგალითს და წინადადება შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის დღის წესრიგში შეიტანონ კოსმოსური სივრცის არამილიტარიზაციის პირობებში მის მშვიდობიან საერთაშორისო სართველობისა და თანამშრომლობის საკითხი.

აღინიშნა, რომ ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების ბელგრადის შეხვედრამ დაადასტურა: 10 წლის წინათ საბოლოო აქტში ფიქსირებული ყველა პრინციპი მთლიანად ინარჩუნებს თავის ძალას. მშვიდობისა და ევროპის ხალხთა უშიშროების ინტერესებისათვის ახლა განსაკუთრებით საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფომ ამოაგეთ მეცადინეობა, რათა გაბედულთა თანამშრომლობა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველზე. სსრ კავშირი და ფინეთი აქტიურად იმოქმედებენ ამ მიმართულებით.

საბჭოთა მხარემ დადებითად შეიფასა ფინეთის მეცადინეობა, რომლის მიზანია ჩრდილოეთ ევროპაში უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცება, განაცხადა, რომ მზად არის ხელი შეუწყოს საერთაშორისო დაძაბულობისა და კონფლიქტების სფეროს გარეთ ამ რაიონის შენარჩუნებას. ამასთან დაკავშირებით სულ უფრო აქტუალური ხდება ფინეთის წინადადება ჩრდილოეთ ევროპა გამოცხადდეს ბირთვული იარაღისაგან თავისუფალ ზონად.

მ. ს. გორბაჩოვმა და მ. კოვალიტომ მხარი დაუჭირეს სსრ კავშირისა და ფინეთის ხელმძღვანელთა პირადი კონტაქტების პრაქტიკის განგრძობას, რაც საშუალებას ქმნის განიხილონ და გადაწყვიტონ საბჭოთა კავშირ-ფინეთის თანამშრომლობის პრინციპული საკითხები, გამონახონ ერთნაირი მიდგომა მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საკითხებისადმი.

პრეზიდენტმა მ. კოვალიტომ კეთილ მიიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ფინეთში. მოწვევას მადლობით დაეთანხმნენ.

* * *

ამავე დღეს კრემლში მ. კოვალიტომ და მის მეუღლეს სადილი გაუმართეს. სადილზე, რომელშაც გულთბილი და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, იყვნენ მ. ს. გორბაჩოვი და ა. ა. გრომიკო მეუღლეებიურთ, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ფინეთის სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა და მოიწონა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების 1986-2000 წლების კომპლექსური პროგრამა.

როგორც სხდომაზე აღინიშნა, პროგრამას „დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისებისათვის. პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მიზანია საქონლისა და მომსახურებაზე მზრდელთა მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აყვანა თვისებრივად ახალ დონეზე, ბევრი მნიშვნელოვანი სახეობის საქონლის რაოდენობრივი მოხმარების ნორმების მიღწევა, საბჭოთა ადამიანების მოთხოვნათა უფრო სრული უზრუნველყოფა.

უკვე მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია სარეწველო საქონლის გამოშვება გავზარდოთ სულ ცოტა 1,3-ჯერ, უზრუნველყოთ მოსახლეობისათვის ყველა სახეობის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, რადიოტელეაპარატურის, საყოფაცხოვრებო ტექნიკის და სამეურნეო დანიშნულების სხვა საქონლის ფართო არჩევანი. მოსახლეობისათვის გაწეული ფასიანი მომსახურების მოცულობა 1,3-1,4-ჯერ გაიზრდება, ამასთან დასახულია უფრო სწრაფად განვითარდეს მომსახურების პრაქტიკული ფორმები და ახალი სახეობანი, რომელთა მიზანია ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქონლისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას, გაუმჯობესებული საამქროებისა და ოთისებების მქონე ახალი საქონლის გამოშვების გადიდებას, საქონლის ასორტიმენტის დროული განახლებას ხოლო მოთხოვნებისა და - მოსახლეობის დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ქვეყანაში გაშლილი ბრძოლის პირობებში.

პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად გათვალისწინებულია ფართოდ ჩაებას ყველა საწარმო და ორგანიზაცია, მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად, სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებაში და მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევაში. განსაზღვრულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია საქონლის გამოშვებ ფაფარებ და მომსახურების სფეროში მატერიალური ბაზის განმტკიცება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, ამ დარგებისათვის თანამედროვე მანქანების, სისტემების, აგრეგატებისა და ტექნოლოგიური ხაზების შექმნა და სერიული გამოშვების ათვისება. ამ მიზნით გამოიყოფა საჭირო კაპიტალური დაბანდებანი და მატერიალური რესურსები. გათვალისწინებულია სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის შესაძლებლობათა უფრო ფართო გამოყენება.

დასახულია წარმოების, საქონლის რეალიზაციისა და მომსახურების სფეროს მართვის სრულყოფის, მუშათა და სპეციალისტთა კადრებით ამ დარგების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

კომპლექსური პროგრამის განვითარებისათვის მოიწონეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სპორტული და ტურისტული დანიშნულების საქონლის წარმოების გადიდება, მისი ასორტიმენტის გაფართოება და ხარისხის გაუმჯობესება და ამ საქონელზე მოთხოვნის უფრო სრული დაკმაყოფილება, აგრეთვე მოქალაქეთა კუთვნილი მსუბუქი მანქანების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის შემდგომი სრულყოფა და ავტომობილების სათადარიგო ნაწილების წარმოების ზრდა. ამ ღონისძიებათა განხორციელება ხელს შეუწყობს მშრომელთა თავისუფალი დროის, დასვენებისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის პირობების შექმნის, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ლოგობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ქვეყანაში გაშლილი ბრძოლის პირობებში.

კომპლექსური პროგრამით დადგენილ დავალებათა წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკ კავშირული კომიტეტის დადგენილება ამ პროგრამის შესრულებაში მაღალი მედეგების მიღწევისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის, კოლექტივების მორალური და მატერიალური წახალისების შესახებ.

მოიწონეს ჩვენს ქვეყანაში მყოფი იაპონის სოციალისტური პარტიის დელეგაციასთან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შეხვედრების შედეგები. როგორც აღინიშნა, მოლაპარაკების დროს გამოვლინდა, რომ საერთაშორისო მდგომარეობის ბევრ კარდინალურ საკითხში ორივე პარტიის შეხედულებანი ერთმანეთს ემთხვევა ან ერთნაირია. დადასტურდა, რომ ისინი ესწრაფვიან ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას სსრ კავშირსა და იაპონიას შორის. გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იაპონის სოციალისტური პარტიის დელეგაციების მოსკოვის მოლაპარაკება ახალ სტიმულს მისცემს ბირთვული ომის საფრთხის აღმოფხვრისათვის, აზიისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშრობის განმტკიცებისათვის ორი პარტიის ერთობლივი ბრძოლის გაეკეთებინებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მოიწონეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხანაგ ლ. ნ. ზაიკოვის მეთაურობით წარგზავნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტის შედეგები, აგრეთვე მიიღეს გადაწყვეტილებანი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარების, მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან ურთიერთობის განმტკიცების, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების პოლიტიკის განხორციელების ზოგიერთ სხვა საკითხზე.

ფარმატეგა გამოფენისა „მანქანები და ფვენები - 85“

თბილისში გაიხსნა საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა „მანქანები და წვენები-85“, რომელიც სპეციალისტების, ქალაქის სტუმრებისა და მეცხოვრებლების დიდ ინტერესს იწვევს.

მეცნიერებისა და ტექნიკის ბოლო მიღწევებს წარმოადგენს გამოფენაზე 75 ფირმა. პრავალფეროვანია გამოფენის თემატიკა. იგი შედგენილია ჩვენი რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით. კერძოდ, ექსპონიციაზე ფართოდ არის წარმოდგენილი სთნები და სარგავი სამუშაოებისათვის, ხილისა და ყურძნის მოსავლის აღებისათვის გათვალისწინებული მანქანები, საწვეთნელი დანადგარები, სატრანსპორტო და შესანახი ტარა, ხილის დასახარისხებელი და ხარისხის განსაზღვრელი მექანიზმები. დათვალიერებაზე მხიშნელოვანი ადგილი ეთმობა წვენების, უალკოჰოლო სასმელების, ჟემის, ხილფაფის, ბოჭარაბის საწარმოო მოწყობილობას.

20 სექტემბერს გამოფენაზე „მანქანები და წვენები-85“ ეწვეოდნენ ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ა. ლენინ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ო. ქართველიშვილი, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გ. მგელაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. ეარმეკოშვილი, სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. ვ. ბელიჩენკო, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები. დათვალიერების ექსპონატებს მაღალი შეფასება მიეცა. გამოთქვეა რწმენა, რომ თბილისის გამოფენა ხელს შეუწყობს შვეიდობისა და პროგრესის საკეთილდღეო საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას.

(საქინფორმი).

ფინეთის პრეზიდენტი ბაქოში გაემგზავრა

20. სექტემბერს მოსკოვიდან ბაქოში გაემგზავრა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი მაუნო კოივისტო. იგი საბჭოთა კავშირში ამყოფება სამუშაო ვიზიტად და დასასვენებლად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე სტუმარი გაეცალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

* * *

ამავე დღეს მ. კოივისტო ბაქოში ჩავიდა.

(საკდესი).

სამანტა სმიტის დიდის წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მენირალურ მდივანს

ვაშინგტონი, 19 სექტემბერი (საკდესი). სამანტა სმიტის დეკამ ჯენ სმიტმა სკკპ ცენტრალურერ კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს გამოუგზავნა წერილი, რომელიც მადლობს უხდის გულთბილი წერილისათვის და ქალიშვილისა და მეუღლის დაღუპვის გამო გამოთქმული სამძიმრისათვის. ჯენ სმიტმა მ. ს. გორბაჩოვს უსურვა წარმატება საბჭოთა კავშირ-ამერიკის მომავალ უმაღლესი დონის ჟენევის შეხვედრაზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ჯ. ი. კახიძისათვის „სსრ კავშირის სახალხო არტისტის“ სპეციალური ფოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა სამეფიაო ხელოვნების განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის „**სსრ კავშირის სახალხო არტისტის**“ სპეციალი წოდება მიენიჭოს ამხ. ჯანსუღ ივანეს ძე **კახიძეს** — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ა. გრომიკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1985 წლის 20 სექტემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ამხ. ნ. რ. საჯაიას საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს: დანიშნოს ამხ. ნუგზარ რაფდენის ძე **საჯაია** საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ბ. ბილასვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 20 სექტემბერი.

ამხ. ნუგზარ რაფდენის ძე საჯაია დაიბადა 1941 წელს, სკკპ წევრია 1968 წლიდან. სპეციალობით ფიზიკოსი და წარმოების საფუძვლების მასწავლებელია.

ამხ. ნ. რ. საჯაიამ შრომითი საქმიანობა დაიწყო 1963 წელს სპეციალობით. 1964-1970 წლებში მუშაობდა ქალაქ თბილისის კომკავშირულ ორგანოებში: იყო კომკავშირის ორწოლიიძის რაიონის სკოლების განყოფილების გამგე, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, საორგანიზაციო განყოფილების გამგე.

1970 წლიდან ნ. რ. საჯაია პარტიულ სამუშაოზეა, იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე, შემდეგ კი ლენინის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. 1974 წელს ირჩევენ პარტიის მცხეთის რაიკომის მეორე მდივად, შემდეგ გადაყავთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორად. 1975 წელს ნ. რ. საჯაია ირჩევენ საქართველოს კომპარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად, ხოლო 1976 წელს — ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

1979 წლიდან იგი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგეა.

ამხ. ნ. რ. საჯაია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლით.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ნოდარ აკაკის ძე **მეძმარიაშვილი** დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივ წარმომადგენლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში და გათავისუფლა იგი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივი წარმომად

შრომითი გმირობის უჭკნობი ფრადიციები

(დასასრული)

საბოლოოდ უახლოესი და უფრო დაშორებული პერსპექტივის ჩვენს გეგმებს, პოლიტიკას განსაზღვრავს სკკპ XXVII ყრილობა. მაგრამ ძირითადად ჩვენ უკვე წარმოდგენილი გვაქვს, თუ როგორ უნდა ვითარდებოდეს სახალხო-სამეურნეო კომპლექსი მეთორმეტე ხუთწლეულში და მესამე ათასწლეულის დამდეგამდე. ეხლიდან სად არის გადამწყვეტი რგოლი და რომელ ბერკეტებს უნდა დავაწვეთ უწინარეს ყოვლისა. სამ ხუთწლედში უნდა უზრუნველყოთ სარეგწველო პოტენციალის მატება, რომელიც იქნება საბჭოთა ხელისუფლების ყველა წინა წლის მანძილზე შექმნილის ტოლფასი. თანაც ამას უნდა მივაღწიოთ — და ეს არის თავიდათავი — ეკონომიკის ინტენსიფიკაციის გზაზე.

ასეთ ტემპს თვით ცხოვრება გვიკარნახებს. მას გვიკარნახებს იმის საჭიროება, რომ გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა, ვიქნიოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ისეთ დონეზე, რომელიც ჩვენი სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების უშიშროების უფუო გარანტიას ქმნის. ერთი სიტყვით, ვადგავართ ინენერუ კურს, უნდა მოგვეხდინა შესაბამისი ისტორიული არჩევანი — და პარტიამ იგი მოახდინა. სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის არსებითი დაჩქარების გზით — საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევისაკენ. და ჩვენ ვიკვლით ამ გზით. ვიკვლით განუხრელად და თანამიმდევრულად. ახლა ყურადღების ცენტრშა უნდა გადაინაცვლოს დასახულ ღონისძიებათა პრაქტიკულ რეალიზაციაზე, კონკრეტულ საქმეებზე. უკლებლივ ყველას — მუშის, კოლმეურნის, სპეციალისტის, მეცნიერის თუ საწარმოს ან დარგის ხელმძღვანელის ძნელ, ყოველდღიურ მუშაობაზე.

ამას წინათ ვიყავი დასავლეთ ციმბირის ნავთობგაზის რაიონში და ყაზახეთის ყამრ მიწაზე. საუბრები მუშებთან და სპეციალისტებთან: სერიოზული და გულახდილი იყო. აი ძირითადი დასკვნა, რომელიც ამ საუბრებიდან გამოვიტანე: საბჭოთა მუშას და გლეხს, ინჟინერს და მეცნიერს ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე დასახულ ამოცანათა გადაჭრისათვის. აშკარად ჩანს, რომ მათ ნათელად ესმით: გარნდა არა უბრალოდ წინსვლის, არამედ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მთელ ფრონტზე ნამდვილი წინგაჭრის, ეკონომიკის განვითარებაში ძირეული გარდაქმნის საჭიროება.

ამ აზრი პირობებში შესაბჭნევად იზრდება ადამიანების აქტიურობა. მათი ცხოვრები დაინტერესება გაღრდავნებინი. ისინი ეძებენ პრობლემებს ნოვატორული გადაჭრის გზებს, სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის უფრო ქმედით ფორმებს. ამის დადასტურებაა ბოლო დროს შობილი შრომელთა მასობრივი ინიციატივები.

მაგალითად, მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა კოლექტივები ებრძვიან ტექნიკური პროგრესის, მოწყობილობის (მაქსიმალური დატვირთვის გზით წარმოების მოცულობის მეკი მატების ინიციატივის, უკრაინის მანქანათმშენებლებმა ვალდებულება იკისრეს მეთორმეტე ხუთწლედში პროდუქციის წარმოების მოცულობის მთელი მატება უზრუნველყონ შავი ლითონის ნაგლინის მოხმარების და მომუშავეთა „რიცხვის გაუდიდებლად. ლენინგრადელ, ნიჟნი ტაგილის და ჩერეპოვეცის მეტალურგები მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ სიმძლავრეების, მეორეული რესურსების უკეთ გამოყენებისა და პროდუქციის ხარისხის გაუჯობესების გზით. ბევრი საწარმო მაღალ-საბოლოო შედეგებს აღწევს საუშაო ადგილების ატესტაციის სრულყოფისა და მათი „რაციონალიზაციის საფუძველზე. ყველგან დაუბრეს მხარი ამ რომითი კოლექტივების ინიციატივას, რომლებმაც გადაწყვიტეს მიმდინარე წელს სულ ცოტა ორ დღეს იმუშაონ დაზოგილი მასალებით.

განსაკუთრებით მინდა შეეეხო ეოლეს მსუბუქი ავტომობილების გაერთიანების მნიშვნელოვან ინიციატივას, რომელიც მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. მისი არსი ის არის, რომ კოლექტივმა შეიმუშავა წარმოების ეფექტიანობის გაზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუჯობესების კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება მეთორმეტე ხუთწლედისათვის სამინისტროს მიერ განსაზღვრულ საკონტროლო ციფრებს. აქ გადაწყვეტის მნიშვნელოვნად გაზრდილ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ თითოეულ ავტომობილზე ლითონისა და საობრის ხარჯი, თანაც 1,5-ჯერ გაანახევრონ ახალი მოდელების ავტომობილების საგარანტიო გარეშენი. კოლექტივმა ითხოვა მისი წინადადებები სახელმწიფო გეგმაში შეიტანონ.

უნდა აღინიშნოს, რომ ვოლგის ავტომუქრანნელთა დაჩქარება მნიშვნელოვანწილად ემყარება გამჭოლი სამეურნეო ანგარიშის საწარმოთი დაწყებული და თითოეული ბრიგადით, თითოეული სამუშაო ადგილით დამთავრებული — გამოცდილებას. ეს ღირსეული პასუხია პარტიის მოწოდებაზე ყველა რეზერვი ჩავაყენოთ სახალხო მეურნეობის სამსახურში, საქმისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების მაგალითია.

როგორც ზედავთ, მოწინავე კოლექტივებისათვის დღეს უწინარეს ყოვლისა ორიენტირია მუშაობის თვისებრივი მაჩვენებელი. ეს არის ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის ათვისება, რესურსების დაზოგვა, სახელშეკრულებო ვალდებულებათა უფუო შესრულება, წარმოების ეფექტიანობის გაზრდა. რა თქმა უნდა, ვასახელებთ ზეკიბრების მხლოდ ცალკეულ თავისებურებებს — მისი გამოცდილება თვით ცხოვრებასაც ითვლება და მრავალფეროვანია.

და, რაღა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვით მუშაკის, როგორც წარმოების მატონ-პატრონის, ჩაშოყალიბებას, მის გაბრწყინას თანამედროვე ამოცანების მასშტაბისა და სიახლისათვის. შეჯიბრება ხომ შრომელთა შემოქმედების გაშლის უმნიშვნელოვანესი სფერო, საბჭოთა ადამიანის თვითდამკვიდრებისა და ამაღლების, მისი უნარის, ნიჭის, მოკლეკვიბრეი თვისებების გამოვლენისა და საზოგადოებრივი აღიარების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი.

ერთი სიტყვით, საქმე უკეთ წაგვიდგა, გვაქვს პირველი შედეგები. მაგრამ ეს დიდი მუშაობის ძხოლოდ დასაწყისია. წინ ველის უდიდესი მასშტაბის ამოცანები, რომლებიც თანამიმდევრულად და განუხრელად უნდა გადაწყვეტოთ. ისინი ეხება ცხოვრების ყველა სფეროს, მოითხოვს მართვის ყველა რგოლის უდიდეს აქტიურობას. ჩვენ კვლავაც მტკიცედ და თანამიმდევრულად გავეგზავნიცელებთ პარტიის მიერ წამოყენებული ახალი მიდგომებისა და მოთხოვნების სულისკვეთებით სამეურნეო კადრების ხელახალი ორიენტაციის გზს.

მაგრამ საქმის წარმატება, ამბანაგებო, საბოლოო ანგარიშით წყდება შრომითის კოლექტივებში — ბაერთიანებებსა და საწარმოებში, საამქრებსა და ბრიგადებში, სამუშაო ადგილებზე. და წყდება იგი ყოველი შრომელის ენერგიით, გონებით და, მე ვიტყოდი, გულით, ღირსებით და სინდისით. კეთილსინდისიერი მუშაობა საყოველთაო კეთილდღეობისათვის, დისციპლინის მკაცრად დაცვა, პასუხისმგებლობისა და ინიციატივის გამოვლენა, სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ნოგორც საკუთარი ინტერესებისათვის ზრუნვა — აი, რა მოეთხოვება, არსებითად, თითოეულს.

ამ მიზნით უნდა ავამოქმედოთ ყველა ბერკეტი — ეკონომიკური და სოციალური, ყველა სტიმული — მატერიალური და მორალური. ამასთან, მინდა განსაკუთრებული ყურადღება დავუთმო ისეთი წახალისების დიდ მნიშვნელობას, რომელიც ვერავითარი ფულით ვერ განიზომება. წარსული წლებისა და დღევანდელი დღის პრაქტიკა გვიჩვენებს, რაოდენ საკვირა დროზე შევნიშნთ, მხარი დავუჭიროთ და აღვამაღლოთ მუშათა და კოლმეურნეთა, სპეციალისტთა და მეცნიერთა — ყველა ინთიგანის ნამუსიანი შრომა, ვინც საღელს მატებს საშობლოს.

იმათ, ვინც წინ მიდის, ხშირად უჭირთ ხოლმე. ქარი, ნოგორც იტყვიან, ყოველთვის ზურგისა როდია: უხდებათ ფუხმოკიდებული ტრადიციების მსხვრევა, რუტინისა და გაუგებრობის დაძლევა. მაგრამ ყოველი ნოვატორი — ეს არის ქვეყნის დიდება და სიამაყე, სოციალისტური საზოგადოების დიადი შენიძენი. ასეთ ადამიანებს მხარში უნდა ვედგეთ. მათი სახელი და საქმეანი უნდა იცოდეს მთელმა ქვეყანამ, ყოველმა შრომელმა კოლექტივმა.

როდესაც ყოველნაირად ვახალისებთ ინიციატივიან, მაღალნაყოფიერ შრომას, ამავე დროს მკაცრად უნდა მოვეთხოოთ პასუხი იმთ, ვინც უსუფგუოდ მუშაობს, აორვევს შრომის და ტექნოლოგიურ დისციპლინას, უშვებს წუნს. ცენტრალურ კომიტეტში გამოგზავნილ წერილებში შრომელები გვთავაზობენ უფრო ქმედითი სამართლებრივი, მატერიალური, ადმინისტრაციული და სხვაგვარი ღონისძიებანი გამოვიყენოთ იმთ წინააღმდეგ, ვინც არ სურს კეთილსინდისიერად შრომა. ეს სამართლანი იქნება, სწორედ ასე უნდა ვიმოქმედოთ. აკცმა რომ თქვას, მეურნეობრიობის აწალი მეკანიზმიც, რომელზეკ სულ უფრო მეტი საწარმო და დარგი გადადის, ამას ისახავს მიზნად.

ცენტრალურ კომიტეტს იმედი აქვს, რომ მუშათა კლასი, გლეხობა, ინჟინერ-ტექნიკური კადრები, მოსამსახურეები და ინტელიგენცია გამოიჩენენ შემოქმედებითის აქტიურობას, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ქვეყნის უკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარება რეალურად იქცეს, რათა საბჭოთა ადამიანების ცხოვრება გახდეს მატერიალურად და სულიერად უფრო მდიდარი, ჭრეფფარე, შინაარსიანი.

ამხანაგებო! ვ. ი. ლენინს უფლრესად მნიშვნელოვნად მიაჩნდა უსარი „გამოვიწვიოთ **მახვილი შეჯიბრებაც და თვითმოქმედებაც** ინისათვის, რომ ისინი **ეყოსენ** შეუდგნენ საქმეს“. დღეს სოციალისტურ შეჯიბრებაში პრაქტიკულად ყველა შრომელი ონაწილეოლმს. მაგრამ, ვფიქრობ, შრომითი მეტოქეობის უუფგება ყოველთვის ისეთი არ არის, ოგორიც უნდა იყოს. მიზეზი აქ სხვადასხვაგვარია, ერთ-ერთი ძირთადი კი ის არის, რომ შეჯიბრების ფორმები და მეთოდები სრულად არ შეესაბამება ეკონომიკური განვითარების ახლადელი ეტაპის ხასიათს. ბევრ კოლექტივში სოციალისტური შეჯიბრება თითქოსდა თავისთავად მიმდინარეობს, არ არის მტკიცედ და ღრმად დაკავშირებული მუშაობასთან, რომლის მიზანია ეკონომიკის გადაყვანა ინტენსიურ რელსებზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა, შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების ფართოდ დანერგვა.

ასეთი მდგომარეობა ძირეულად უნდა შეეცვალოთ. რაკი ხელი მოვკიდეთ რეზერვების გამოვლენას, მაქსიმალურ გამოყენებას ყველაფრისა, რასაც ვფლობთ, მაშ, მოდით, ახლებურად შეეხეოდოთ ამ პოზიციებიდან თვით შეჯიბრებასაც. მთლიანად მას ჯერ-ჯერობით აკლია უფრო ზუსტი ორიენტაცია პრიორიტეტულ მიზნებზე: შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებაზე, რესურსების დაზოგვაზე.

ტეპში, ხარისხი, მომზირნობა, ორგანიზებულობა — აი, დღის მთავარი ლოზუნგები.

ესარგებლობ რა ჩვენი შეხვედრით, მინდა კიდევ ერთხელ აღნიშნო პროდუქციის ხარისხის უარყოფად გაუჯობესების საჭიროება. აქ საკითხების მთელი კვანძია — ეკონომიკის, პოლიტიკის, მორალისა. პროდუქციის ზდარე ხარისხი სხვა არა არის რა, თუ არა სახალხო დოვლათის და ადამიანის შრომის განიავება, ნამდვილი მფლანგველობა. ავიდოთ, მაგალითად, ფართო მოხმარების საკონელი. შეიძლება გაფუჭდეთ ყიდველენ, რომელიც განცდაფრებული, რატომ შეგვიძლია კოსმოსური ხომალდების, ატომმავლების გაკეთება, ხოლო საყოფაცხოვრებო ტექნიკას, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს ხშირად ხარვეზებით ვამზადებთ. ამას კი არა მარტო მატერიალური, არამედ მორალურ-პოლიტიკური ზიანიც მოაქვს.

საიდუმლო არ არის, თუ რატომ ხდება ასე. ერთ-ერთი მთავარი მიზეზია სუსტი მომთხოვნელობა პროდუქციის ხარისხისათვის, სუსტი ტექნოლოგიური დისციპლინა. აი, აქ კი ბევრი რამ თვით შრომითს კოლექტივებზეა და მოყოდებული. დარწმუნებული ვართ, რომ მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და სპეციალისტები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სამეურნეო ხელმძღვანელები ბარიოლს ბრძოლას ინმისათვის, რომ მთელი სამამულო პროდუქცია არ ჩამოუვარდეთ საუკეთესო მსოფლიო ანალოგებს, ანდა სკოფნიდეს მათ.

როცა ხარისხზე ვლაპარაკობ, სულაც არ მინდა იმის თქმა, თითქოს რაოდენობრივ მაჩვენებლებს მნიშვნელობა დაეკარგოთ. დღესაც უნდა ვაწარმოოთ მეტი მარცვლეული, ბოსტეული, ხორცი, მოვიპოოთ ქვანახშირი და საკვობაი, გამოვუშვათ სახალხო მოხმარების საკოხელი. ბევრ დარგში პროდუქციის წარმოების გადიდება კვლავაც შრომითი შეჯიბრების დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებელი იქნება. მაგრამ ცხადია სხვა რამეც: ჩვენ, ვერ გავაგდიდებთ, ვთქვათ, ენერგეტიკული და ნედლეული რესურსების წარმოებას უსასრულოდ. უნდა ვისწავლოთ ყოველი ტონა ლითონის, ნავთობის, სასუქის, ყოველი კილოვატი ელექტროენერგიის, ყოველი კუბური მეტრი ხე-ტყის ყაირათიანად გამოყენება.

აი, ამიტომ არის, რომ შეჯიბრება მიზნად უნდა ისახავდეს აგრეთვე შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების დაზოგვას, რაციონალური გამოყენებას, მე უკვე მეოთხა საუბარი. მაგრამ, ვითვალისწინებ რა, რომ მდგომარეობა ნელა უმჯობესდება, მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი: ეკონომია, მომჭირნეობა, დაგროვილი საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენება ჩვენი უაღლოესი რეზერვია, სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდის გადამწყვეტი პირობაა.

უნდა ვაფასებდეთ ყოველ კოკარტულ ნაბიჯს ამ მიმართულებით, მკაცრად მოგვითხოვდეთ მფლანგველობისათვის, თორემ როგორ ხდება ხოლმე: გაიხედავ და სამქრობი ან ქარხნის ეზოში ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის მომზადებული ბლაკატები გამოყოლილი, ქარხნის ტერიტორია კი ჩაბერგული ჯართით, დაუდგმელი მოწყობილობით. ბოდა, ამიტომაც ხდება, რომ მოწოდება და სატყვა ერთია, საქმე კი სულ სხვაა.

ამხანაგებო! საზოგადოების წინაშე მდგომ ამოცანათა გადაწყვეტაში ძნელია პროფესიული კავშირების როლის გადაჭარბებით შეფასება. მათი საქმიანობის თავი და თავია ზრუნვა, ხარეგნა მშრომელთა სოციალური და კულტურული საკეთილდღეოებისათვის, შრომმსა და ყოფა-ცხოვრების პირობებისათვის, დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენებისათვის. მაგრამ ამ ამოცანებს წარმატებით ვერ გადავწყვეტთ, თუ სისტემატურად და დაუცხრომლად არ ვაწარმოეთ ბრძოლა შრომის უდიდესი ნაყოფიერებისათვის, წარმოებაში დისციპლინისა და ორგანიზებულობისათვის. ეფექტიანი მუშაობის გარდა არ არსებობს კეთილდღეობის შექმნის სხვა გზა. ამიტომ მშრომელთა ინტერესების დაცვა ნაყოფიერების ზრდის მეშვეობით პროფესიული კავშირების, ყველა საწარმოო კოლექტივის ერთ-ერთი ონმნშვნელოვანესი ზოგადოობა.

ამ მიზნით ახლადელზე უფრო აქტიურად უნდა გამოიყენებოდეს ეანონიც შრომითი კოლექტივების შესახებ. მათში, როგორც ფოკუსი, თავს იყრის ჩვენი ცხოვრების ყველა პრობლემა. შრომითის კოლექტივებში სრულდება გეგმები, მოწმდება ახალი იდეები, „ყალიბდება კადრები. არა „ზემოდან თვალის ერთი გადაკლება“, არამედ ძირეულ რგოლებში მდგომარეობის გულისყურით შესწავლა და გათვალისწინება დაგვეხმარება, მაგალითად, ბრიგადული სამეურნეო ანგარიში უფრო ენერგიულად დანერგვაში. სწორედ სამეურნეო ანგარიშის. ბრიგადა ხომ ბევრია, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე კი, მაგალითად, მრეწველობაში ჯერ-ჯერობით მხლოდ მათი მეხუთედი მუშაობს.

ბრიგადაში, და თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ, ყოველი კაცი ჩანს, თვით კოლექტივის წევრები იფსაბენენ ერთობლივ შრომაში თითოეულის მონაწილეობის დონეს, აქ უფრო სრულად ისახამს ხარკს სოციალური სამართლიანობის პორარეკიპი ხელფასითაც და წახალისების სხვა მატერიალური და მორალური ფორმებითაც. აქ ვერ იცეოლუტებ, სხვის ზურგს ვერ ამოეფარები, აქ უფრო ნათლად მოჩანს წარმოების სამოლო შედეგებთან ვალდებულებათა კავშირი.

ასე რომ, პროფკავშირების მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კოლექტივებში რეზერვების ყოველდღიური და საგულდაგულო ძიების, როგორც იტყვიან, „ჰორიზონტალით“ და „ვერტიკალით“ მომთხოვნელობის ეთორეების შექმნა. მაგრამ ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროფკავშირული კომიტეტი თითქოსდა ყველაფერში მონაწილეობს, მაგრამ ძალების გამოყენების მთავარი წერტილები არ განსაზღვრავს. ამის შედეგად საკმაო ენთუზიაზმი, როგორც ეს არცთუ ისე იშვიათად ხდება შეჯიბრების ორგანიზაციაში, მიაქვს „ქაღალდს“ ღონისძიებათა „გამოგონებასა“ და „ბაფორრშებას“.

ფორმალიზმი შეჯიბრების, როგორც მასების უმუალო შემოქმედების, დაუძინებელი მტერია. სიდიმლო არ არის, რომ ვალდებულების ზოგჯერ ასლები ამრავლებენ და მონაწილეებს მარტო ხელმოსაწერად აძლევენ. შეჯიბრების მაჩვენებლებს აწესებენ საწარმოს, დარგის სპეციფიკის გაუთვალისწინებლად, ანდა ავიღოთ შეჯიბრები მონაწილეთა პირადი ვალდებულებანი. ეს თავისთავად კარგი საქმეა, მაგრამ რატომ უნდა გადაიწეროს მუშამ, ინჟინერმა არსებითად თავისი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობანი და იძლეოდეს მათი შესრულების სიტყვა? ეს ხომ თვით შეჯიბრების იდეის შერყვნაა.

დამფიქრებელია ასეთი საკითხიც: მეტისმეტად ბევრი ხომ არა გვაქვს ნაირ-ნაირი შეჯიბრებები და თაოსნობები? ეს ყოველთვის როდია სიკეთე. შეჯიბრების უძვირფასესი მხარეა საუკეთესო შედეგების მიღწევა, მოწონაგე საწარმოო გამოცდილების, ნოვატორული შრომის ხერხებისა და მეთოდების შემოშვება. და თუ უამრავ თაოსნობას რეალურ უკეგებას შეეუსაბამები, არ შეიძლება არ გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ამ ინიციატივათაგან ყველა როდია ჯეროვნად მოფიქრებული.

ჩემი აზრით, სწორედ ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ პროფკავშირული და სამეურნეო ორგანოების შუშაობა. შეუწყარებელია, რომ რეალური საქმის ნაცვლად ხშამაღალ ლოზუნგებს გვაყვარიდეთ, ხოლო ცოცხალი მუშაობის ნაცვლად უამრავ და ხელოვნურ ღონისძიებებს მივმართავდეთ.

არის სხვა მომწყვეტელი საკითხებიც — შეჯიბრების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის, ეალდებულებათა ეკონომიკური დასაბუთების, მათი დაბალფენობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, გამარჯვებულთა სტიმულირების დროს ყველას ერთ ტაფაში მოკეცვის დაძლევის, მოწინავის პრესტიჟის ამაღლების შესახებ. საკითხა ზუსტი კრიტერიუმები, როგორც წარმატებების, ისე ხარვეზებისა. ეფექტურობა, ზეგვიდრის მონაწილეები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებას ამ და სხვა საკითხებზე.

ნება მიბოძეთ, დღეს შეგეხო ისეთ რთულ პრობლემასაც, როგორიც ლოთობასთან ბრძოლაა. მიღებულ ღონისძიებებს მხურვალედ დაუჭერს მხარი შრომელებმა, თუმცა ერთი ნაწილი გაგვიჩაწყენდა. უკვე ჩანს დამიდებული შედეგები. იკლო ფეინესა და არაყის ნაწარმის მოხმარებამ. ხალხი უფრო შეუწყნარებლად ეკიდება ლოთობას, მეტი წესრიგი იგრძნობა ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში, ისევე როგორც წარმოებაში. „მოგახსენებთ, რომ ტრაგმატიზმის შემთხვევები უკანასკნელი სამი თვის მანძილზე კვეთრად შემცირდა. ამან კი ათასობით ადამიანს შეუნარჩუნა ჯანმრთელობა, რომელზე ძვირფასიც არაფერი შეიძლება იყოს.

მაშასადამე, ტყუილად არ დაგვიწყია დიდი საქმე. დასახულს განუხრელად განვახორციელებთ. კარგად გვესმის, რომ მოგვიწევს ხანგრძლივი, შეუპოვარი მუშაობა სიფხიზლის, როგორც ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ნორმის, დასაწერგავად. საამისო სიმტკიცე გვეყოფა. მით უმეტეს, რომ ასეთი გეზის განხორციელებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი ეყრდნობა მთელი ხალხის მხარდაჭერას, საზოგადოებრივი აზრის მოწიფულობას და ძალას.

ამხანაგებო! სტახანოვურ მოძრაობას აქვს ერთი განსაკუთრებული ნიშანი: იგი ახალგაზრდულ გარემოში იშვა. მისი თაოსნები 30 წელზე უხნესნი არ ყოფილან. და ეს კანონზომიერია, ვინაიდან ვერც ერთი რამდენადმე მასშტაბური ისტორიული ამოცანა ვერ გადაწყდება ახალგაზრდობის აქტიური, საქმიანი და მრავალმხრივი მონაწილეობის გარეშე. და დღეს განსაკუთრებით გვმართებს სრულად გამოვიყენოთ ახალგაზრდა თაობის ენერგია ამ გრანდიოზული ნოვატორული ამოცანების გადასაწყვეტად, რომელიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას.

ზოგჯერ იტყვიან ხოლმე, თანამედროვე, ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი დავალებანი ყოველდღიურ. უფროსი თაობის ხალხშიკი ზოგ-ზოგები ბეზზეკნენენ კიდეც ამის გამო. მაგრამ თუ ნამდვილად ვილაპარაკეთ, ჩვენ შეგვიძლია ამაყოფილი ვიყოთ თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდობისა. ჩვენი ქალიშვილები და ვაბუკები იმათი შვილები და შვილიშვილები არიან, ვინც ინდუსტრიალიზაციის წლებში ამყარება იმ დროისათვის არნახულ შრომის ნაყოფიერების რეკორდები, ვინც ომის ძნელებიანის ქამს ბირველი გადადიოდა ეირიშზე, მკერდით ფარავდა ამბრაზურას, ჯიერ მიდიოდა ტანრაზე სპაიერო და სატანკო ბრძოლებში. ისინი იმათი შვილები და შვილიშვილები არიან, ვინც ყამირს ეხდა, ვინც პოლარეთისპირა ტუნდრასა და ციმბირის ტაიგაში ოიპპოვებდა ნავთობსა და გაზს. ეს ჩვენი შვილები და შვილიშვილები არიან, ჩვენი თანამოსაგრე ამხანაგები არიან, რომლებიც დღესაც უჩვენებენ მაღალ მსოფლიოს შრომის, მამული მსახურებისა და ერთგულების უზენაეს ნიმუშებს. ეს ისინი არიან, ვისაც გაპყავს ბაში, ვინც აშენებს ახალ ქალაქებს, ვინც აპურებს ჯეჯილს, ერთგულად ემსახურება საშობლოს საზღვრებს ფაცვის ფაცვის.

ამის სასიკეთოდ, ჩვენი დიადი იდეალების საკეთილდღეოდ ღირს იცხოვრო, ღირს იშრომო, ღირს იბრძოლო! **(სანგრძლივი ტაში).**

რთველი-85

დიდი და პატარა ზვრეგშია

საქართველოს სსრ ღვინის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის 20 სექტემბრის ცნობის მიხედვით

რთველის ჰორიზონტი თანდათან ფართოვდება. ყოველდღიურად კახეთის ხუთ და ქართლის ორ რაიონში ათითასობით ტონაზე მეტი ყურძენი იკრიფება. 20 სექტემბრისათვის წითელწყაროს რაიონში მოკრეფილია 28.946 ტონა ყურძენი, სიღნაღის რაიონში — 27.279 ტონა, გურჯაანის რაიონში — 24.855 ტონა, ყვარლის რაიონში — 11.723 ტონა, მარნეულის რაიონში — 5.553 ტონა, ბოლნისის რაიონში — 4.578 ტონა და სხვა. სულ რესპუბლიკაში რთველის დაწყებიდან მოკრეფილია 103.534 ტონა. შარშანდელთან შედარებით ჩამორჩენა, სამაგიეროდ წელეულს შაქრიანობა საშუალოდ 19,90 პროცენტია. შარშან ამ დროისათვის კი 16,40 პროცენტი იყო. ყველაზე ტკბილი ყურძენი გურჯაანისა (21,40 პროცენტი) და სიღნაღის (20,10 პროცენტი) რაიონების ზვრებში იკრიფება.

რთველს დაცდა არ უყვარს, ყურძენი დროზე უნდა მოიკრიფოს, თორემ დაგვიანება ზარალს იწვევს. ამიტომ არის, რომ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა და ადგილობრივი სკოლების უფროსკლასელებმა მერნები, დროებით მიატოვეს და კახეთის ზვრებს მიაშურეს. მეევნახეებს მხარში ამოუდგნენ სასოფლო-სამეურნეო, ზოოვეტერინარული, ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტები. ზოგიერთი ახალგაზრდა ყურძნის კრეფის დღიურ დავალებას ორმაგად და სამმაგად ასრულებს.

რთველს ტემპი უნდა დავაჩქაროთ, ყველაფერი ეიღონთო, რომ დანაკარგები აღვაკვეთოთო, მოწეული მოსავალი უსწრაფლივ დავაბინაოთ. ეს უნდა ახსოვდეს ყველა მერთველს — მევნახეებს, პარტიელი, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, საზოგადოებრივ მეურნეობათა და ღვინის მრეწველობის მუშაკებს.

ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებანია შეიმუშაოს და დანერგოს პროგნოზების მეტეოროლოგიური, მიდრომეტეოროლოგიური და აგრომეტეოროლოგიური მეთოდები ამიერკავკასიის პირობებისათვის; აგრეთვე ბუნებრივი გარემოს მდგომარეობისადმი კონტროლისა და დაკვირვების სისტემები და ა. შ.

სურათებზე: ინსტიტუტის შენობა; დინამიკური მეტეოროლოგიის ლაბორატორია (ცენტრში), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ანზორ დავითაია, უფროსი ინჟინერი ქეთევან სიხარულიძე (მარცხნივ) და უფროსი ტექნიკოსი ვალენტინა კანდელაკი ანალიზებენ ნალექების ყოველთვიური ჯამის ვრძელვადიანი პროგნოზის ამას წინათ დანერგილ ობიექტურ მეთოდს; გიერთიანებული გამოთვლითი ცენტრის ტექნიკოსი მარინე მინდელი მუშაობის დროს.

ა. სპასოვის ფოტო.

შეეოქვე-
ურ
დეგზეი
კვლევა-
ქიებით

საღლეისო თემაზე

ვაგონი არ უნდა მოცდეს

ვაგონების მოცდენის თაობაზე გაზეთ „კომუნისტის“ 9 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ მასალაში აღენიშნეთ, რომ ვაგონების ბრუნვის დაჩქარებისათვის განხორციელებულ ღონისძიებანი თანდათანობით სასურველ შედეგს ალეკვენ. ასეთი ტენდენცია სულ უფრო და უფრო იკვეთება, ამის დასტურია ბაგისტრის მაჩვენებლებიც.

მიმდინარე წლის ივლისში, ტვირთის მიმღებთა მეზობლიდან, გადმოტვირთვის მოლოდინში 5897 ვაგონი მოცდა, აგვისტოში კი — 4324. კიდევ უფრო დამაჯერებელია წინასწარ შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით: ამ პერიოდში შარშან 8971 ვაგონი დაყოვნდა.

ეს, როგორც გასულ თვეშიც ითქვა, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ საქმის მოლიან მოგვარებამდე ბევრი გვაკლია. წესრიგი დამყარდება მაშინ, როცა არც ერთი ვაგონი არ მოცდება და ამ საკითხზე ალარ დაიწერება კრიტიკული წერილი.

ჯერ კი იძულებული ვართ კრიტიკა ისევე როგორც ადრე, თბილისის გლდანის რაიონით დავიწყოთ. აქ აგვისტოში 397 ვაგონი მოცდა, შარშან ამ დროს კი 223, რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკრანსპორტო კომისიის მოსაცემნილი საამოდ დიდი რაოდენობის — 142 ვაგონი ვერ გადმოტვირთეს დროულად ნინის რაიონში, 55 — გუდაუთის, 82 — ოჩამჩირის, 68 — ცხაკაიას, 30 — წალენჯიხის, 69 — ლენინგორის, 30 — თბილისის ლენინის, 68 — მარნეულის, 22 — გურჯაანის, 26 — თიანეთის რაიონებში, 38 — ქალაქ ტყვარჩელში. ზემოხსენებული რაიონებიდან ზოგმა, შარშანდელ აგვისტოსთან შედარებით, გაარონკეცა, გასამკეცა და გაათხკეცა კიდეც გადმოუტვირთვა ვაგონთა რაოდენობა.

ახლა გადავხედოთ, როგორ აქვთ საქმე ამ მხრივ რესპუბლიკის საინფორმაციო ბაგერებს, უწყებებს, დიდ საწარმოო გაერთიანებებს, სხვა ორგანიზაციებს. ამთვანაც, „შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, პრაქტიკულად, ყველგან გაუუმჯობესა მდგომარეობა. ვაჟრობის სამინისტრომ, მაგალითად, შარშან ამ დროს ვერ გადმოტვირთა 381 ვაგონი, წლეულს აგვისტოში — 42. რა თქმა უნდა, არც 42 ვაგონია ცოტა, მაგრამ თუ ვაჟრობის მუშაკები არ მოადუნებენ ამ საკითხისადმი ყურადღებას და მოხდინმენთ იბრძოლებენ მოპოვებული პოზიციების განმტკიცებისათვის, წინსვლას ვერაფერი შეიჩერებს. ასევე უნდა ითქვას რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შესახებაც. ამ საწარმოში შარშან აგვისტოში 2316 ვაგონი მოცდა, წელს შესაბამის პერიოდში 462. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ დასამშვიდებლად არ ყმარა. კიდევ უფრო უკეთესი შეფარდება აქვს შარშანდელთან შედარებით ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას. ამ მაჩვენებლებმა ექ შესაბამისად 1051 და 33 შვადგინი. როგორც ჩანს, ზესტაფონელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოკლე ბანში სრული წესრიგი დამყარონ. ჭკვეთრად გაუმჯობესება მდგომარეობა „რუსთავის „ჯაზოტის“ საწარმოო გაერთიანებას. წლეულს ეიმაოსულებმა 10 ვაგონი, შარშან იმავე პერიოდში კი 284 ვაგონი დაყოვნეს. მნიშვნელოვნად ნაკლები ვაგონები მოაცდინეს შარშანდელ აგვის

პარტიული ცხოვრება:
მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

მცირერიცხოვანი სუსტს როდი ნიშნავს

მართლაც, როდესაც საქმის სიყვარული, დიდი პასუხისმგებლობა და მონდომებაა, კოლექტივის წევრთა რაოდენობა სრულებითაც არ არის ერთადერთი მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი. ამ მარტივ ჭეშმარიტებაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის საბჭოთა მეურნეობის მეცამეტე საწარმოო ბრიგადის პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრებას დაევსწრით და აქაური კომუნისტების, მათი ხელმძღვანელის — ელოსო როგავას მუშაობას გავეცანით.

როგორც საქმიან, კრიტიკულ და თვითკრიტიკულ საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე კრების მონაწილეთა გამოსვლებში წარმოჩნდა, ამ ბოლო ხანს ბრიგადაში გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, განმტკიცდა საშემსრულებლო დისციპლინა, გაიზარდა შრომითი, განსაკუთრებით, კომუნისტთა პასუხისმგებლობა. ყოველივე ამაში დიდი პარტჯგუფის, მისი ხელმძღვანელის როლი, აქაური კომუნისტები ღრმად სწვდებიან შრომითი კოლექტივის პრობლემებს. ამკვიდრებენ ნაყოფიერ, შემოქმედებითი მუშაობის სულისკვეთებას, იჩენენ სისიკეთო თაოსნობებს.

სწორედ საქმისადმი ასეთი მიდგომის შედეგია, რომ ბრიგადამ წლის დამდეგს წამოიწყო - თაოსნობა დეკეზზით „მინიმალური დანახარჯებით — მაქსიმალური პროდუქციას“, რომელიც, ძირითადად, მინდობილი უბნისათვის თითოეული შრომელის პასუხისმგებლობის ამაღლებით, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის განმტკიცებით, რესურსების ეკონომიური ხარჯვით უნდა განხორციელებულიყო. პარტიულმა ჯგუფმა მკაცრი კონტროლი დაუწესა შრომითი ძალების გონივრულ გამოყენებას, საწარმოო რესურსების ყაირათიან ხარჯვას. ამ მხრივ საქმის მდგომარეობას სისტემატურად ამოწმებდნენ-სახალხო კონტროლიორებიც.

შედეგებმაც არ დააცალა. ბრიგადამ კრების დღისათვის მოკრიფა 60 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 90 პროცენტს აღწევს. ასევე წარმატებით შესრულდა თხილის, ბარეულის პარკის წარმოების დავალებები. კარგი პირი უჩანს სანიმუშოდ მოვლილ მარცვლეულ კულტურებს.

ყოველივე ამაში, ცხადია, საგრძნობი წვლილი შეიტანეს ბრიგადის კომუნისტებმა მ. ფარულავამ, ხ. შონიამ, ს. ბეინავამ, მ. თოლორაიამ და სხვებმა, რომელთა კეთილსინდისიერი მუშაობა აღინიშნა კიდევ კრებაზე, მაგრამ არც ზოგიერთი უღისიპლინოსნოა, ჩამორჩენილის დასაწელებას მორიდებიან, პირუთვნელად, მკაცრად გაკიცრიტიკებისინი. კრებაზე თქვეა, რომ მკაცრი, ბოგომ ობიექტური, გულშემატკივრული კრიტიკა აუცილებელია კოლექტივის ზოგიერთი წევრის გონს მოსაყვანად. და, ი.ბეიათად ხდება, რომ ადამიანმა არ გამოასწოროს უნებლიე გადაცდომა, როდესაც იგრძნობს კოლექტივის ძალას, მის ერთსულოვნებას.

პარტჯგუფს აქვს ამის მაგალითები და გამოცდილება. ბრიგადის ზოგიერთი წევრი, კერძოდ, კ. გახარია, ლ. ხარამშვილი, ი. ცურდელეანი, ვ. ხარამშვილი და სხვები ალკოჰოლს ეტანებოდნენ, ბახუსით გამბრუებელნი მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას ვერ ახმარდნენ საქმეს. პარტჯგუფმა თავის ერთ-ერთ კრებაზე განიხილა მათი საკითხი, მკაცრად მოკკითხა, მეგობრულადაც უჩინა მათ გამოსწორებულიყვნენ. ისინი მარტოოდენ კრებაზე საკითხის განხილვითაც არ შემოფარგლულნ, შემდგომშიც მხარში ედგნენ მათ. შედეგიც კარგია: ზემოდანდაწნეული წარსულში ბახუსის მოტრფიალენი დღეს თანამოსაქმეთა მხარდამხარ ამრავლებენ ბრიგადის წარმატებებს.

კრების მონაწილეებმა ხ. შონიამ, მ. ფარულავამ, ვ. ნანავამ, ჯ. დადიანმა, გრ. ჭედიამ და სხვებმა პირუთვნელად ილაპარაკეს ხსკკ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, იბრძოლონ რაიონის საუკეთესო საწარმოო ბრიგადის წოდებისათვის. პარტჯგუფორგად კვლავ ე. როგავა აირჩიეს.

ზ. ცხოლდია.

ომდე ვერ ჩავწვდით. ფორმალურად მუდგებით, შედეგიც არ არის მთლად სასურველი. საქმროა მეურნეობის ხელმძღვანელობამ ამ საკითხისაც დაადგის თავი. - თუმცა ჩვენ, კომუნისტებსაც, მეტი მონდომება გვმართებს, მარტოოდენ სხვებს კი არ უნდა შევაჩერდეთ ხელში.

მას მხარი დაუჭირეს კრების სხვა მონაწილეებმაც, აღნიშნეს, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს შიდასამეურნეო ანგარიშის დაწერგვას, როგორც მუშაობის გეიმჭიბისების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას. მათ დადაწყვეტეს წლის ბოლოდ დარჩენილი დროის მანძილზე უფრო მეტი მონდომებითა და პასუხისმგებლობით ზეშრომნ, ახალი წარმატებებით შეხვდნენ ხსკკ XXVII ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, იბრძოლონ რაიონის საუკეთესო საწარმოო ბრიგადის წოდებისათვის. პარტჯგუფორგად კვლავ ე. როგავა აირჩიეს.

ზ. ცხოლდია.

„პარტიული სიტყვა“ № 17

ბაბოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის“ №-17 ნომერი, რომელიც იხსნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ბახუტაშვილის სტატია „ტრადიცია გრძელდება“, ხოლო რუბრიკით „წელი დამამთავრებელი, წელი შემჯეგრი“ ჟურნალი მკითხველს სთავაზობს ა. დავითიანის სტატიას — „ქართველ მენავთობეთა ჰორიზონტები“.

რუბრიკით „ტუ ეეუნაბე შეილუსი“ ქვეყნდება „ლორეს ზეგ“ ლეგენდარულ კომეულარებთნ“ ეძღვნება ელიზბარ უბილავის წიგნს „ცხელი ნაპირი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიახლის ათასი ფაცნაგი

ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივი პირობების გამო ბევრგან მიწები ხელოვნურ მორწყვას მოითხოვს. ეს განსაკუთრებით ითქმის აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებზე.

ახლა საქართველოში 440 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწებია, წინათ გამოუყენებელი და დაჭაობებული მიწებიდან 150 ათას ჰექტარამდე დაშრობილი ფართობია ჩაყენებული ხალხის სამსახურში.

ამჯერად, უპირველესი ამოცანა ის არის, რომ დაშრობილი და გასაწყვეტელი მიწების ეს მნიშვნელოვანი ფონდი ინტენსიურად გამოვიყენოთ, რათა უზრუნველყოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სარწყავი მიწების გამოყენების საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია.

რესპუბლიკის მოწინავე საზოგადოებრივი მეურნეობების მდიდარი გამოცდილება ნათლად მეტყველებს, რომ იქ, სადაც საირიგაციო სისტემამ მოკლე-პატრონობას, რწყვასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების განხორციელებას სათანადო ყურადღება ექცევა, სარწყავ წყალს რაციონალურად იყენებენ და ამასთან იგი აგროტექნიკურ ღონისძიებებთან სწორად არის შეერწყმული, ეფექტიც დიდია. მაგალითისათვის მიეხმარებიან მეურნეობებს, კმაყოფილდებიან მხოლოდ წყლის მიწოდებით. და ეს მაშინ, როდესაც დღეს საბოლოო შედეგზე ერთნაირად აგებენ პასუხს როგორც მეურნეობის, ისე წყალთა მეურნეობის მუშაკები. ამასთან მათ აკიწყდებათ, რომ შრომის ანაზღაურება მეურნეობაში საბოლოო შედეგის მიხედვით ხდება. ეს ფაქტორები ბრიგადის ზოგიერთმა მუშაკმა ეს ვერ შეიგნო და ისევ ძველებურად აგრძელებს მუშაობას. ეს კი, რასაკვირველია, უხეირო ზეგავლენას ახდენს სარწყავი მიწათმოქმედების ეფექტიანობაზე.

სარწყავი მიწათმოქმედების საქმიანობაშია მთავარი მეურნეობის შიგნით წყლის გამოყენების საკითხია. იმისათვის, რომ ნორმალურად, წესიერად მოვრწყათ ნათესები თუ ნარგავები და სასურველი შედეგი მივიღოთ, საჭიროა შიდაქსელების ო

ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით სულიაშვილი, რომლის დაბადების 100 წლისთავი ამ ცოტა ხნის წინათ შეიხსენა, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლისას იყო არალეგალური მარქსისტული წრის მონაწილე. იგი ეწეოდა საგაფიცო-პროპაგანდისტული საქმიანობას. მონაწილეობდა მუშათა სხვადასხვა ფენიანობის დემონსტრაციებში. აქტიური რევოლუციური მუშაობისთვის იგი დაასაქმებრეს. ქართველი ხალხშეიკვეთის დაბარებული ეუთიანის ციხეში კაქეულად დ. სულიაშვილი თოქმის ათი წლით ჩაგეს შეეცალოთში, სადაც ხვდება ვ. ი. ლენინს და ახლო ურთიერთობას ამყარებს ბასთან.

საბჭოთა ხელისუფლების კანარკვების შემდეგ საშუალებაში დაბრუნებული დ. სულიაშვილი ეწეოდა საყოფიერ ლიტერატურულ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია რუსულად, უკრაინულად, სომხურ და ბერძნულ ენებზე. დღეს მწერლის არქივიდან ეთავაზობთ მოგონებას „ასეც იწყებოდა“, რომელშიც რუსეთის პირველი რევოლუციის წინაა. პერიოდის — თებერვალი 1905 წლის 29 აგვისტოს მომხდარი ტრაგედიის — მეფის ჯანდრმა მიერ რევოლუციურად განწყობილი უიარაღო მუშების დარბევა-ულტეთის ამბავი აღწერილი.

ასეც იწყებოდა...

1905 წლის 29 აგვისტო...

თუმცა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, მაინც გუშინდელივით მახსოვს იმდღევანდელი ამბები.

წინა დღით კამომ შემოიარა ჩვენთან: გადმოგვცა, რომ მე და გიორგი ელისაბედაშვილი კომიტეტის დავალებით უნდა დაეს წრებოდით ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში გამართულ კრებას, რომელზეც ხმოსნებს ბულგანინს სათათბიროს თაობაზე უნდა ემსჯელთ. ბოლშევიკებს მოელოდნენ მუშებს. მიეღო მონაწილეობა ამ საკითხის განხილვაში, ემხილებინთ მენშევიკების ოპორტუნიზმი და რევოლუციური ლოზუნგებით მიემართთ საზოგადოებისათვის.

რაკი გიორგი იმხანად არ იმყოფებოდა თბილისში, მეორე დღეს კამო და მე ვილიაშინგის ეუჩით თვითმმართველობის შენობისაკენ გავეშურეთ. ძლივს შევედით ბალონში გაეკეთილ დარბაზში და რაკი ქვევით ტევა არ იყო, ვიწრო კიბით ზევით — ქანდარაზე ავედით.

დარბაზს გადავხედე. თვალში მეცა მთელი კედლის სიმაღლეზე აფიშარიული ნიკოლოზ მეორის სურათი, მის წინ გრძელი მაგიდა და რიგებად ჩამწკრივებული სკამები. ქალაქის დეპუტატების ადგილი ალრე მოსულ ხალხს დაეკავებინა. უმეტესობა მუშები, ხელოსნები, მოწაფეები იყვნენ.

დარბაზში სიჩუმე იდგა. ქალაქის თავისა და ხმოსნების მოლოდინში ხალხი თანდათან მატულობდა, ისინი კი არ ჩანდნენ.

— ბიეო, — სულ ჩვენებს დაუკავებიათ სკამები! ხმოსნები სად დასხდებიანო? — მკითხა კამომ.

— რა გვენდოვლება, ჯანდაბამდეც გზა ეკოსიათ, ჩვენ ხომ შეეკონეთო!...

— მერე, რომ გამოაცხადონ — სხდომა არ შედგება, დაიშალეთო?

— არ დავიშლებით! — ლაპარაკში ჩაგვერია ახალგაზრდა მუშა.

— მართალია, მაგამ ქეიფზე ხომ არ ვივლით სულ. სწორია, აი ყოჩაღ, ბიეო! — შეაქო კამომ...

როცა ხმოსნები დარბაზში შემოვიდნენ და თავიანი ადგილები დაკავებული ნახეს, გვიბრძანეს დაბრაბაზი დაგვეტოვებინა. ადგილიდან არავინ დაძრულა. მაშინ ხმოსნებმა და ქალაქის თავმა თვითონ დატოვეს დარბაზი.

— შეეშინდათ, თავისუფალი სიტყვისა შეეშინდათ!..

— მონაბილი... მხდალები!.. — ატყდა ყვირილი, ძახილი, სტვენა.

ხმოსნების გასვლისთანავე ყვირილი შეწყდა. დარბაზში ერთმანეთს გადაბეღეს — არ იცოდნენ, რა ექნათ. სრული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ამხანაგებო, ჩვენ თვითონვ გავხსნათ სხდომა, — წამოიძახა ვიღაცამ.

— მაგთალია, გავხსნათ, გავხსნათ! — ერთხმად აყვირდა ყველა.

— დაასახელეთ თავმჯდომარე, თავმჯდომარე!

ისევ ატყდა ღრიანცელი. ასახელებდნენ სხვადასხვა გვარებს. ყვირილი და ძახილი არ შეწყვეტილა რამდენიმე წუთს. ამ უჩვეულო ამბით გატაცებულნი დიდხანს ვერ დაწყნარდნენ. ეს ხომ პირველად იყო, რომ თვითონ ასახელებდნენ თავმჯდომარეს, თავიანთ ადგილებიდან, ჯანდაბამდეც ამბავს...

ბოლოს ერთმა ახალგაზრდამ დაიკავა თავმჯდომარის ადგილი. უჩვეულ, გამოუცდელი ხელი დაუწკარუნა ზარი, სიჩუმე მოითხოვა. ყველა გაინაბა. აღფრთოვანებულნი, აღტაცებულნი მოელოდნენ თავისუფალ სიტყვას, სამართლიან, ჩაგრულთ გამამხნევებელ სიტყვას...

კრება თონეულივით გაბურდა, აინთო. სიხარულს არ ჰქონდა საზღვარი. ორატორები ერთმანეთს დაგვაბარალებს, ხომ არ აყოფენ ჩვენ თვითონ შეეკუყოფინონთ, თავად მიიღოს ზოგები.

— სწორია, ნამდვილია! სხვა გზა არ არის!.. — ერთმანეთს უდასტურებდნენ.

— დიახ, თქვენო ალმატებულებავ! დარბაზი გაეკეთილია ხალხით. ჩვენ ვერ დავშალეთ. პარტიების წარმომადგენლები ლაპარაკობენ. უშვერი სიტყვები იხსენიებენ ბულგანინ ფამილიას. დიახ, თქვენო ალმატებულებავ!.. ჩვენ ხომ შევედით, ყველა ადგილი დაკავებული იყო. დიახ, დიახ. გვეშმის! როგორც ვნეშავთ, ნახვამდის, თქვენო ალმატებულებავ!.. გალიობ!...

ამორავდნენ მეფის მოხელეები, პოლიციმეისტერი, კაზაკები, ბოქაულები.

...დარბაზი კი გუგუნებდა. რეკოლუციონერების სიტყვები ჩახჩქერივით იღვრებოდა. რამდენიმე ასეულის გული გამალებით სცემდა, ფეთქავდა, მომავალი ბრძოლებისთვის ძალას იკრებდა, ფიცავდნენ.

მოულოდნელად ხალხთან გაეფდილ კარებში მაღალი ტანის პოლიციმეისტერი აღიმართა. — „გენერალ-გუბერნატორის სახელით ვიბრძანებთ ახლავე დაიშალოთ, დაუყოვნებლივ დასტოვოთ დარბაზი!“ — აკაფსაბუნული ხმით დაიყვირა მან.

შეკრთა კრება, გაინაბა. ორატორს სიტყვა პირზე შეეყინა. უცბად ქანდარიდან გაისმა:

— კრება დავშალეთ? — ვინ ეს შეიძლება, იმხანაგებო! შეიძლება?..

— არ შეიძლება, არა, არა!..

— გუბერნატორის არ გეგმინია!

— მოახსენეთ გუბერნატორს, არ დავიშლებთ!

პოლიციმეისტერი გავიდა, მხლებლებიც თან გაპყვნენ...

სხდომა გაგრძელდა, მაგრამ დარბაზში აღესილი ხანჯალივით ჩამოეკიდა შიში და კრთობა. ყველა ფერმა გადაკრა, გიორგიევეული მოლოდინით შეფფოთდა კრება, შეიკუმშა გახარებული გული, ჩაიფიფფლა გაოგვებული ზეიზალი, სიტყვას მოაკლდა სიცხოველე, ჰაერი შეიხუთა.

ხუთ წუთსაც არ გაუვლია, დარბაზში შემოცვივდნენ შეიარაღებული კაზაკები, კონდახებით დაუწყეს ცემა სკამებიან წამოცვივნილ ხალხს, თავზარდაცემულნი გასასვლელს ეცნენ, მაგრამ კარები დაკეტილი აღმოჩნდა, შეკიც ჩაჭრა.

— ნუ გეშინიათ, ამხანაგებო, გამაგრდით, ხუ შეეპუებით, ბბრძოლეთ! — გაიძახოდა ზოგიერთი...

მაგრამ კაზაკების არაადამიანურ ცემას ვერავინ უძლებდა. თავდაკვის ინსტინქტი უკარნახებდა გაქცეულიყვნენ, ხოლო გაქცევის საშუალებას მოკლებულნი, დასისხლიანებულნი, დარეტიანებულნი ძირს ეცემოდნენ. გაისმოდა ვეფხვსა და ოხერა, გინება და წყევლა. ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა.

გასასვლელ კართან შემჭიდროებულნი ერთმანეთს აწვებოდნენ, მუჯუგუნს კრავნენ, წყიკეცოდნენ, წაკეცილებს თავს ატეხნდნენ, ბინობდნენ. გასასვლელი კარი დაკეტილი რომ ხვდებოდათ, ფანჯრის მინებს ამტვრევდნენ, ეზოში ხტებოდნენ, კუთხეებს ეფარებოდნენ. კაზაკები კი არაფის იხდობდნენ, ესროდნენ.

მახსოვს, კიბეზე დავგორდი; როცა წამოვდექი, თავზე ქუდი აღარ მეფარა. საფეიქოს ზეკით კანი მეწოდა. ხელი რომ მოვისვი, თითებში თმილი სისველე ვიგრძენი. ეეცემი, ფორთხეთ ჩავთავეკ გრეული კიბე. კამო ძხეფველობიდან დამეკარგა. ქვედა დერეფანში იატაკზე დახოცილების თუ დაჭრილების გროვა ყრია. სროლა არ წყდება, აქ კი გარკვევით დავინახეთ, როგორ ესროდნენ ჩასაფრებული კაზაკები ეზოში გაქცეულებს, უმწეო, უიარაღო ხალხს...

გავდივარ ქუჩაში, გადავრჩით!.. მაგრამ სხვებმ? ვინ იცის რამდენი დაიოჭა! რამდენი გადარჩა?..

მეორე დღეს ვახეთი ეუწყებოდა, რომ იმ ღამეს 23 მოკლული და 50 დაჭრილი მიხელილს საავადმყოფოში მიუყვანიათ... გაზეთ „კავკაზს“ ცნობილი კი მოკლული იყო 26, ხოლო დაჭრილი — 56. დაჭრილთაგან სამი იმ ღამითვე გარდაცვლილა. პოლიციის მონაცემებით სამოცდაათს აღეკვედა დაჭრილთა რიცხვი. ასეთ აბნეულ ცნობებს იძლეოდა ოფიციალური წყაროები, სინამდვილეში კი მსხვერპლი გაციდებით მეტი იყო.

ამე დამთავრდა 29 აგვისტოს ტრაგედია.

უიარაღო ხალხზე გამარჯვებას ღღესასწაულობდა მთავრობა, მაგრამ იგი ამასთანავე ჩვენს მორალურ და იდეურ გამარჯვებასაც გრძნობდა. რევოლუციური ტალღები ზვირთდებოდა. იწყებოდა საერთო გაფიცვები, ახლოვდებოდა ცხოვარს ხუთი წლის დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება.

დავით სულიაშვილი.

მსოფლიო პირველობა ფეხბურთში

ყაიმი სვლეგის განმეორებით

როგორც ჩემმაონს, ისე პრეტენდენტს ძალიან ფართო სადებიუტო რეპერტუარი აქვს. მათ შეუძლიათ დახურული დასაწყისების ნაირ-ნაირ ვარიანტებს მიმართნენ, ანდა ღია დებიუტი აირჩიონ. ერთი სიტყვით, როგორც კარპოვის, ისე კასპაროვის წინაა დმდგ წინასწარ მომზადება მეტად რთული რამ გახლავთ.

და მაინც, არის ერთი დასაწყისი, რომელსაც ორივე მეტოქე, უკანასკნელ წლებში, სხვებზე ხშირად მიმართავს. ეს გახლავთ ლაზიერის გამბიტი, ერთ-ერთი ყველაზე გაოცებულები ნაზმედროვე ხდებიტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ კარპოვ-კასპაროვის წინა მატჩის 48 პარტიაში იგი 17-ჯერ შეგვხვდა. ამასთან თვრეტინთ ხან ჩემპიონი მიმართავდა, ხან პრეტენდენტი. ამჯერად მეეკვსე პარტია ერთხანს ამავე მატჩის მეთხუე შეხვედრას დაემეხა. მაშინ, სულ ოთხი აზრით, თვთრებით მოთამაშე კარპოვმა ბეერს ვერაფერს მიაღწია, პარტიის ბედი სხვა ამბებმა გადაწყვიტა. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ამჯერად მსოფლიო ჩემპიონი მალე გადაუხვევდა გატკეპნილ გზას და ასეც მოხდა. თანამედროვე დიდოსტატი ვალდებულია სისტემატურად შეისწავლოს სხვა წამყვანი მოჭადრაკეების შემოქმედება, მხედველობიდან არ გამორჩეს ახალი ფიქრები. და აი, კარპოვმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამავე ვარიანტში ბელიავსკის პორტუმთან ახალი ძლიერი ბეგმა გამოიყენა და შავების ლაზიერის ფრთას სახიფათოდ დაემუქრა. როცა კარპოვმა სწორედ ამ ახალ ბეგმას მიმართა, ცხადი გახდა, რომ მეოთხე პარტიისაგან განსხვავებით, პრეტენდენტს გაუჭირდებოდა თამაში გათანაბრება. მალე მას პაიკის დაიმბობა მოუხდა, ამასთან მდგომარეობა საგრძნობლად გამარტივდა.

მატერიალური დანაკლისის მიუხედავად კასპაროვის პოზიციაში მაინც აღმოჩნდა საკმარისი დაცვითი რესურსები. მეტოქეებს თითო ეტლი და მხედარი დარჩათ, მაგრამ პრეტენდენტმა შეძლო ეტლით თეთრების გასლაგებაში შეჭრა და იმეტრებოდა მხედრის მნიშვნელოვან უჯრაზე გადაყვანასაც. ობიექტურად, ყოველივე ეს ათანაბრებდა მეტოქეთა შესაძლებლობებს. ამიტომ კარპოვს მოუხდა არჩევანის გაკეთება: ცდილიყო თავისი მცირე მატერიალური უპირატესობის გამოყენებას, თუ დათანხმებულიყო ყაიმზე. სანტერესოა, რომ ჩემპიონი დიდხანს ყოყმანობდა, უკანასკნელ სვლაზე 26 წუთი იფიქრა და მაინც ბუნდოვან გართულებებს აწყობნა სვლების სამყაროში გამეორება, რაც ყაიმს მოასწავებდა.

მეეკვსე პარტია
კარპოვი — კასპაროვი

ლაზიერის გამბიტი

1. d4 d5 2. c4 e6 3. ©c3 ©e7 4. ©f3 ©f6 5. ©g5 h6 6. ©:f6 ©:f6 7. e3 0—0 8. ©d2 dc 9. ©:c4 ©d7 10. 0—0 c5 11. ©fd1 cd 12. ©:d4 ©b6 13. ©e2 ©d7 14. ©f3 ©b8 15. ©e4 ©:d4 16. ©:d4 ©a4 17. ©:d8 ©f:d8 18. ©:d8 ©:d8 19. ©c5 ©d2 20. b3 ©c6 21. ©:b7 ©:f3 22. ©f ©d7 23. ©g2 ©g5 24. b4 ©b6 25. ©f1 ©d7 26. ©g2 ©b6 27. ©f1 ©d7. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 3,5:2,5 კარპოვის სასარგებლოდ. მორიგი, მეშვიდე პარტია დღეისათვის არის დანიშნული.

ბ. გამრეკელი.

ახალი სეზონი: ბეგმები, ფიქრები

ტრადიციის ერთგულება

დღეს თბილისის მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს გახსნის. თბილისელები ნახავენ პრემიერას — ნ. დუმბაძის ნაწარმოებთა მიხედვით შექმნილ სპექტაკლს „ისევ ამქვეყნად დავრჩები“. სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა თ. ჩხეიძემ.

ახალმა დადგმამ უკვე ამ ზაფხულს „გაიარა გამოცდა“ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში თეატრის გასტროლების დროს. ეს ბედნიერად, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს ნ. ბერიაშვილმა თეფრ ჩხეიძემ, — ანლებურად წარმოგვეჩინა ნოდარ დუმბაძის პიესა, გადმოგვეცა მწერლის ადამიანური სითბო, ლიტერატურული სტილი... ეს არის ერთგვარი მიძღვნა მწერლის ხსოვნისადმი.

რა თქმა უნდა, ჩვენი თეატრიც დიდ სამზადისშია, რათა ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს. დრამატურგ ალ. ჩხაიძის პიესის მიხედვით „ამბავი, რომელიც არ მომხდარა“ ვამზადებთ სპექტაკლს, რომელსაც ახალგაზრდა რეჟისორი ე. ანდღულაძე დადგამს. სპექტაკლის პრემიერა განზრახულია სექტემბრის დამლევისათვის.

სულ მალე ერეკვანში, უკვე ტრადიციად ქცეულ საშემოდგომო ფესტივალზე — თანამედროვე დრამატურგის საკავშირო დათვალიერებაზე, წარმოვადგენთ ლ. როსლიას „პროვინციულ ამბავს“.

ახალ სეზონში რეჟისორი მ. კუპუხიძე დადგამს ულიანოვის „იაგუანას ღამეებს“. სპექტაკლში მთავარ როლებს შეასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი სოფიკო ჭიაურელი და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ოთარ მეღვინეთუხუცესი.

მალე ყიდვე ერთ პრემიერას შეეფფავზებთ მაყურებელს: ახალგაზრდა რეჟისორი გ. მარგველაშვილი მუშაობს ო. ჭილაძის პიესაზე „წყთეს წყთელი წყლები“.

სპექტაკლის ბოლოს მხატვარი ა. ლოფვინსკი და მე ჩეხოსლოვაკიაში უწყდა გავემგზავროთ, სადაც მიწვეული ვართ სპექტაკლის დასადგმელად. სახელდობრ, რა სპექტაკლს დავდგამ, ჯერჯერობით არ ვიცით. 1986 წლის ზაფხულში თეატრი მიწვეულია პოლონეთში. მელელაკენი ველოდებით, თუ როგორ შეხვდება იქაური მაყურებელი ჩვენს სცენაზე შარშან დადგმულ პოლონურ პიესას „კარტოფეკას“. დაგვგმელია აგრეთვე ერთთვიანი გასტროლები ლენინგრადში.

ქართული თეატრის თაყვანისმცემლებს ყოველთვის სჯერთოდა შარჯანიშვილთან ტრადიციებისა. ვეცდებით, არც ამ სეზონში გავაწყვილოთ მაყურებელი.

ანდრაშ სუნიოგი:

„ჩემი გულის ნაწილი საქართველოშია“

დედაქალაქის საგამოფენო დარბაზებში

ამ დღეებში, ქალაქ ქუთაისში, ფერმწერთა საერთაშორისო პლენერი მიმდინარეობს, რომელზეც მოწვეულია უნგრელი მხატვარი ანდრაშ სუნიოგი. 19 სექტემბერს კი თბილისის „მხატვრის სახლი“ საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ანდრაშ სუნიოგის პერსონალური გამოფენა.

ავტორი ფერწერასა და გრაფიკაში მუშაობს. საინტერესოდ არის შესრულებული ნამუშევრები „ქალიშვილის მოტაცება“, „შეეძინი“, „არაბები“, „ხსოვნა“, „მას იქით არაფერია“, „საღლეგრძელო“, „თამაში“, „მეძველმანი“, „ჩემი ბაღი“, „გაზაფხული“...

ანდრაშ სუნიოგი დაიბადა 1946 წელს. 1969 წელს დაამთავრა ბუდაპეშტის სამხატვრო აკადემია და იმავე წელს გახდა ახალგაზრდა მხატვართა სექციის წევრი. 1983 წელს მას უნგრეთის სახელმწიფო პრემია მიეენიჭა.

უნგრელი მხატვრის ნამუშევრები გამოფენილი იყო იხელინსის, სოფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, შვეიცარიისა და ავსტრიის უდიდეს საგამოფენო დარბაზებში.

„მხატვრის სახლში“ მოწყობილი უნგრელი მხატვრის ნამუშევართა გამოფენა გახსნა საქართველოს მხატვართა კავშირის მდივანმა რ. თორდიამ, რომელმაც გულთბილად მოიწია მხატვარს პირველი პერსონალური გამოფენის მოწყობა საქართველოში.

უნგრელ მხატვარს შემდგომი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ეორეოლიანმა.

ანდრაშ სუნიოგი სიამოვნებით გვთანხმდება ინტერვიუზე, თარჯიმანი არ გვჭირდება, — საკმაოდ კარგად იცის რუსული.

— რამ განაპირობა თქვენი ნამუშევრების გამოფენის მოწყობა საქართველოში?

— საქართველო ბევრი ხელოვანისათვის გამხდარა მოგონების წყარო. მარტო მიხაი ზიჩის გასხენება რად ღირს. 1976 წელს შეიქმნა სსრ კავშირისა და უნგრეთის მხატვართა ჯგუფი, რომელიც საქართველოსა და უნგრეთში მუშაობდა. ამ ჯგუფის წარმომადგენელი მეცა ვარ. შემოქმედებითი ურთიერთობის წყალობით საქართველოში უკვე მეოთხედ ჩამოვედი. თითქმის მთელი საქართველო შემოვლილი მაქვს.

— ეს საყვარული, ალბათ, თქვენს შემოქმედებაზეც იქონიებდა გავლენას...

— ეცდილობ დღევანდელი საქართველოს ცხოვრების ამსახველი ბევრი ნახატი შევქმნა, დაკანაცვო ჩემიანებს (და სხვებსაც) ქართველი ადამიანის კეთილშობილი სახე. ჩემს ნამუშევრებში თქვენ შეხვდებით ქართულ ქალებს, სოფელს. ნახატების მთელი სერიალი მაქვს საქართველოზე, რომელიც ეგრძნის ქვეყნებში გამოფენაზე წარვადგენე. ერთ-ერთი მთავანი — „სადღეგრძელო“ — ამ გამოფენაზეეცაა.

— როგორია თქვენი ეგვეზები?

— ვმუშაობ მსოფლიოს ცხოველების ენციკლოპედიის გამოცემაზე ლონდონის ერთ-ერთ გამომცემლობასთან ერთად. ვსწავლობ ცხოველთა ანატომიას...

უნგრელი მხატვარი ღიმილით გვეუბნებოდა, ცისფერ თვალებში გაბოლებული სითბო ელვრებდა:

— არ დაგავიწყდეთ, დაწერეთ: როცა აქედან მივდივარ ხოლმე, ჩემი გულის ნაწილი საქართველოში რჩება...

ანდრაშ სუნიოგის ნამუშევრების გამოფენა თბილისში 2 თებერვამდე გასტანს.

ნ. მჟელდლიშვილი.

სურათებზე: ზემოთ — უნგრელი მხატვარი ანდრაშ სუნიოგი; ქვემოთ — გამოფენის ექსპონატი „ზეეძინა“.

ჯ. ლოვაძის ფოტო.

კვლავ მეგობრებთან

ვიეთნამი (საკ. კორ.). ორმოცდაცამეტი წელია, რაც ქიაუთონისა და უკრაინის ქალაქებს — ორჯონიკიძისა და ბარგანეცის მშრომელებს ახლო მეგობრობა აკავშირებთ: ისინი ყოველ წელს ხვდებიან და თავთავიანთ მრომითს მიღწევებს აცნობენ ერთმანეთს, მსჯელობენ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესს მიღწევათა დანერგვაზე, შრომის ორგანიზაციის უკეთ წარმართვაზე.

ახლახან ქიაუთონელთა (დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ საწარმოთა გაერთიანება „ქიაუთონმანგანუმის“ პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე თ. თავბერიძე, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზ. თაბაგარი, გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის მდივანი კ. ტურეიანოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვარაბამეყანი გ. ტყვიმალაძე, დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მეფანურ ბრიგადიერი ე. ლუღუნიშვილი და პატარიძის სახელობის მაღაროთსამმართველოს მექანიკური სამაგრის მექანიკანე რ. შეგრელიშვილი, ქალაქ ორჯონიკიძეს ესტუმრა. ამ მათ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეთვალთვალო კომბინატის ხელმძღვანელობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

დელეგაციამ დაათვალიერა სამსაფეხურიანი 82 მეტრი სიმაღლის და 2,5 კილომეტრი სიგრძის კარიერი, სადაც ერთდროულად სხვადასხვა სამუშაოს ასრულებს თანამედროვე როტორიანი ექსკავატორი, რომელსაც მხოლოდ უმაღლესი განათლების სპეციალისტი მართავს.

ე. მარგანეცში კი დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ერთ-ერთი მამდიდრებელი საცდელი ფაბრიკა, სადაც 12-პროცენტიანი ფოსფორიდან ქიმიურად 52-პროცენტიან მანგანუმის კონცენტრატს იღებენ. ამ შახტ-გიგანტში ყველა სამუშაო პროცესი მექანიზებულია, მაქანს ზიდავ მთლიანად კონვეიერიზებულია, ამასთან დანერგულია შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა და მიღწევებიც თვალსაჩინოა.

ჯ. შარიქაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.



„კოლუნისტის“ ფოტოკონკურსი

მზის ჩასვლის ფინ.

ბ. დათუაშვილის ფოტოტიდი.

თვითმფრინავი, მეზღვარი, მომსახურება

ლაინერები ზეცას კვეთავენ

რუსთაველზე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საჰაერო მმომსვლის ცენტრალურ საგენტოში მუდამ ბევრი ხალხია — საჰაერო ტრანსპორტზე მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა და თავისთავად საგენტოს მუშაკებსაც დაბაბული მუშაობა უხდებათ.

მგზავრებს დღეს ნაკლები დრო ეხარჯებათ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საჰაერო მმომსვლის ცენტრალურ საგენტოს სალარობებში ავიაბილეთების შეძენისათვის. აქ მწყობრში ჩადგა მორიგი მაკომპიუტერებელი დანდგარი, რომელიც სრულ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, თუ რამდენი თავისუფალი ადგილია რესპუბლიკური და საკავშირო მიმართულების ყველა საავიაციო რეისზე.

— ბილეთების გაყიდვა ორგანიზებულია ყოველ რეისზე თავისუფალი და დაკავებული ადგილების შესახებ უწყვეტი და ზუსტი ინფორმაციის გათვალისწინებით, — თქვა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს საჰაერო მმომსვლის ცენტრალური საგენტოს უფროსმა შ. ჯვარშეიშვილმა. — წინასწარი გაყიდვა იწყება რეისამდე 15-17 დღით ადრე, თავისუფალი ადგილების შესახებ ცნობა აეროპორტს გადაეცემა 20 საათის შემდეგ თვითმფრინავის გაფრენის წინა დღეს. განზრახული გვაქვს უახლოეს ხანში ავამოქმედოთ სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ყოველდღე გაგებასაზეროთ იმ მოქალაქეთა ზუსტი რიცხვი, რომლებმაც ვერ შეძლეს ბილეთების შეძენა მათთვის საჭირო რეისსა და გაფრენის დღისათვის. ამით უფრო ზუსტად გადაეჭრით სხვადასხვა მიმართულებით საავიაციო რეისების დამატებით გადიდების საკითხს.

განზრახულია ახალი საგენტოს მშენებლობა, რომელშიც შესაძლებელი გახდება ფართოდ დაინერგოს თანამედრო